ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 4722321001**
თარიღი:**17/11/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მარინე ბერაძის ანგარიში, 2021 წლის დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის

ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 31 ოქტომბერი 2022 წელი.

შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - მერიის სხდომათა დარბაზი.

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ზაალ მამალაძე;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ჯუმბერ ბერძენიშვილი;

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდმარე - ლაშა თოლორდავა;

სამანდტო, საპროცედურა საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - მარინე ბერაძე;

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე - ქეთევან სიხარულიძე;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ვლადიმერ სიხარლიძე;

საკრებულოს აპარატის უფროსი-მერაბ ხუნდაძე;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

მერიის წარმომადგენლები;

არასამთავრობო ორგანიზაცია - გურიის სამოქალაქო ცენტრის წარმომადგენლები - თამთა ცინცაძე,ნინო ურუშაძე;

ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ წარმომადგენლები;

სხვადასხვა სოფლის ქალთა საინიციატივი ჯგუფის წარმომადგენლები;

ჩოხატაურის ნიკო მარის სახელობის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეები;

ამომრჩევლები;

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრმა, სამანდტო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - მარინე ბერაძემ ამომრჩვლებს წარუდგინა 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის

მდგომარეობით დღემდე გაწეული მუშობის შესახებ ანგარიში.

აღნიშნა, რომ არის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სამოქალაქო საბჭოს წევრი, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციის მუშაობაში, საკრებულოს მიერ მისაღები ნორმატიული აქტების პროექტების ინიცირებასა და მომზადებაში, მოქალაქეთა მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტაში. მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებისას ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღნიშნა, რომ მომავალში მისი საქმიანობის ძირითადი გამოწვევა იქნება თვითმმართველობისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმა. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური განვითარებისთვის ზრუნვა. ისაუბრა განვლილ პროცესში საკრებულოს მიერ მიღებულ მნიშვნელოვან ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე, განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ, სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განხორციელებულ პროექტებზე (ანგარიში თან ერთვის).

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

მარინე ბერაძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისთვის.

სხდომის თვმჯდომარე

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი